



# საქართველოს

# რეპუბლიკა

წელი 10 მან. კვირა, დეკემბრის 12 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უფროსი განყოფილება  
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

### საქართველოს რესპუბლიკა

განცხადების თარიღი 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან.  
განცხადების ფასი 1-ლ ვ. პეტრის სტრიქ. 20 მან. 4-ზე 15 მან.  
სამსახურის განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 500 მ., განცხ.  
სამსახურის დაკარგვის შესახებ 200 მ. სასამართლო. უწყ. განცხადებ-  
ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20-1/2 რგულა-  
ციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარანის ქ. № 6. ტელეფ. 1-22.

## სახელმწიფო თეატრი

კვირას 12 დეკემბერს სახალხო გვარდიის დღე. 1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე. 2) ქართულ ენაზე თეატრი.

### „ლალი“

ორშაბათს, 13 დეკემბერს ბალეტის სპექტაკლი შორდენისა „ფიზელი“, სამშაბათს 14 დეკემბერს „სევილეა დალაქი“, ოთხშაბათს 15 დეკემბერს „პიკის ქელი“. დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011

## სიღნაღის საგარეო საეროებო განყოფილება

### აქტი აქტად, რომ 19 დეკემბერს აწ.

მოწვეულია სიღნაღის მაზრის საეროებო ხმოსანთა მე-V ყრილობა. განსახილველია შემდეგი საკითხები:

- 1) მოხსენება საეროებო განყოფილების მიმდინარე წლის მოქმედების შესახებ, 2) 1919 წ. ფინანსური ანგარიშის განხილვა, 3) 1921 წ. შემოსავალ გასაღლის საეროებო ხარჯთ-ალრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 4) სესხის აღების შესახებ, 5) საეროებო მოსამსახურეთა ამა წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, 6) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა, 7) კვაბეთის თემიდან ყანდაურის, ახაშის თემიდან ჩუმლაყის და გურჯაანის თემიდან ვეჯინის გამოყოფის და ახალი თემების დაარსების შესახებ, 8) განყოფილების თავმჯდომარის არჩევა, 9) მიმდინარე საკითხები, ვთხოვთ ყველა ხმოსანებს უეჭველად დაესწრან აღნიშნულ ყრილობას, რომელიც მოხდება დღის 10 საათზე, საეროებო განყოფილების ბინაზე.

1021

## წყალსადენის აბონენტების საყურადღებო

### ქალაქის განყოფილება

#### აქტი აქტად,

რომ საჭიროა წყალსადენის აბონენტებმა მიიღონ ზომები წყალსაზო-მების ეინვისგან დასაფარავად.

რამდენადაც შესაძლებელია საჭიროა წყალსაზომები შეხვეულ იქნან ჩვირებით; მი-  
ღების ირგვლივ კი დაყრილ უნდა იქნას ნახევრი; გაფუჭებული წყლის ხუფი  
შეკეთებულ უნდა იქნას.

წყალსაზომების შოვნა სიძნელეს წარმოადგენს (თითო წყალსაზომი ღირს 20.000  
მან.) და ვისაც ის გაუფუჭდება ვალდებული იქნება კანონის ძალით გადაიხადოს  
მისი ღირებულება.

ქალაქის განყოფილება. 3-2

## განცხადება

შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდის.

### იხ მუშის და მოსამსახურის დაშორების შემთხვევაში, რომლებიც ღებულნი არიან მუშათა მაგიდიდან სურსათ-სანოვანის მიღების შეწყვეტას.

ვალდებულნი არიან 15 ამა დეკემბრამდე შემოიტანონ დეფიციტის დასაფარავად  
5.000 მან. თითოეულ მუშა-მოსამსახურეზე. თავის დროზე ფულის შემოუტანლობა  
გამოიწვევს მავიდიდან სურსათ-სანოვანის მიღების შეწყვეტას. ფული მიიღება მუ-  
შათა მაგიდის სალონში (კირკის ქუჩა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების  
შენობაში) ყოველ დღე დღის 9 საათ. შუადღის 3 საათამდე.  
შრომის სამინისტროს საქმეთა მმართველი ი. გოდამანი.  
მუშათა მაგიდის გაზე ვ. ფეჩაძე.  
1024 3-2

## აგ წლის დეკემბრის 15-დან

დღის 10 საათ. ტფილისის ცენტრალურ ფოსტის კანტონში დაიწყება

### საჯარო ვაჭრობა

და გაიყიდება ვადა გასულ ჩაუბარებელ ამანათებიდან ამოღებული ნივთები.  
ფოსტის კანტონის უფროსი ლიპარტიანი.  
1025 3-2

## საქართველოს სახაზინო რეინის გზე- ბის სამმართველო

### აქტი აქტად,

რომ დეკემბრის 20-ს დღის 12 საათ. იგი ნიძნავს შეჯიბრებას შემ-  
დეგ სამუშაოებზე:

ვაგონების დატვირთვა და გადმოტვირთვა სხვა და სხვა მასალებით და საბოიბი მა-  
სალით (ქვა-ნახშირი და შეშა) საბოიბი მასალის დარიგება საწყობიდან მოსამსახუ-  
რეთა სახაზინო ბინაზე. დატვირთვა ორთქმ-ვლებს ქვანახშირით და ავრთვე სხვა  
და სხვა სამუშაოები სასალო და საბოიბი მასალის შემდეგ საწყობებში: ბათომი,  
სამტრედია, ფოთი ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, კიათურა, ხაშური, ბორჯომი,  
ტფილისი, სანაინი და დროებითი საწყობები. ვადა სამუშაოებისა ამა 1 იანვრი-  
დან 1 ივლისამდე 1921 წ. განცხადებები საქართველოს სახ. რეინ. გზ. კასის კვი-  
ტანციის თანდართვით საწინდრის შეტანის შესახებ 5000 მან. უნდა შემოიტანილ-  
ან გამოგზავნილი იქნეს თითოეულ საწყობზე ცალკე დახურულ კონვერტში შემდეგი  
მისამართით: ქალ. ტფილისი, საქართველოს სახაზინო რე. გზების სამმართველო,  
სამასალო სამსახურის უფროსს, დაწვრილებით ცნობების ან გამოთხოვა შემო-  
აღნიშნულ სამუშაოების შესახებ შეიძლება სამასალო ნაწილის უფროსისაგან და  
ავრთვე საწყობების ზედამხედველებსაგან აღვილობრივ 9 საათიდან 3 საათამდე  
გარდა უქმე დღეებისა. 1027 3-2

## საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბალანსი.

### 1920 წ. 1 დეკემბერს.

აქტივი (ათასობით).	პასივი (ათასობით).
კასა და სახელდაბ- ანგარიშები . . . 558817	ძირითადი თანხა . . . . . 150000
უცხოეთის ვალუტა . . . . . 2416	სპეციალი თანხა . . . . . 50000
გადაღება თამასუქ. სავაჭრო ვალ- დებულ. და ვალიან ქალაქ . . . 115171	სახელდახელო ანგარიში . . . . . 692669
სპეც. სახელდა. ანგარ. უარუნველყოფ. თამასუქ. და სავაჭრო ვალდებულ. . . 6165	ანგარიში გამგეობ.სთან . . . . . 35223
სესხი და სპეც. სახელდაბ. ანგარ. საქონლ. და საქონლ. მიერის სა- ბუთი . . . . . 169101	გადაღებული გადმოგზ. ფული და გარდაშვ. თანხ. . . . . 32035
ანგარიში ხაზინებთან . . . . . 56969	სარგებელი მიღებული ოპერაციები- საგან . . . . . 12632
" გასყოფილებასთან . . . . . 54889	ბალანსი . . . . . 972569
" მოწყობა მომართვისა . . . . . 431	
დასაბრუნებელი თანხები . . . . . 2234	
მიმდინარე ხარჯები . . . . . 6326	
ბალანსი . . . . . 972569	ბალანსი . . . . . 972569

ბანკის მმართველი იხსან ლორთქიფანიძე.  
1030 1-1

## ივერეთის სავაჭრო-სამრეწველო სამეურნეო ბანკის (ივერბანკის)

### ქ. ზესტაფონში.

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწ-  
ველობის სამინისტრომ ამა წლის 9 დეკემბერს ხსენებულ ბანკის წესდება დააბტკი-  
ცა. ძირითადი თანხა ბანკისა პირველ ხანად არის განსაზღვრული 3 (სამი) მილიონ  
მანეთით, თითო აქცია ღირს ათასი (1000) მან., ხუთი აქცია იქლევა ერთი ხმის  
უფლებას.

ხელის მოწერა მიიღება ამა დეკემბრის 15-დის ქ. ზესტაფონ-  
ში საურთიერთო წარმომადგენელთა და ხელის მოწერის-  
თანავე უნდა იქნეს შემოტანილი თითო აქციაზე დირებულის ნახევარი  
(500 მან.) და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან.  
აქციაზე.

## საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ამციონერთა პირველი დაფუძნებული კრება

დანიშნულია ამა წლის 19 დეკემბერს ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზო-  
გადოების ბინაზე დღის 12 საათზე.

განსახილველი საკითხებია:

- 1) საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება.
- 2) 1921 წლის ხარჯთ-ალრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
- 3) ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან აქციისა და პასი-  
ვის მიღება.
- 4) არჩევნები საბჭოსა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა  
და 5) მიმდინარე საკითხები.

4186 3-2





